ლიკვიდატორის პასუხისმგებლობის სამართლებრივი ასპექტები შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ლიკვიდაციის განხორციელების პროცესში

მარიამ მგალობლიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გოჩა გოგიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ, ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ მგალობლიშვილი

16.06.2023

აბსტრაქტი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ლიკვიდაცია მისი საქმიანობის შეწყვეტას წარმოადგენს. ლიკვიდაცია ხანგრძლივი პროცესია, რომელსაც ხელმძღვანელობს ლიკვიდატორი. ლიკვიდატორის სამართლებრივი მდგომარეობა მხოლოდ გარკვეულწილად განისაზღვრება ,,მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით. მოცემული საკითხის ირგვლივ კვლევის განხორციელება განაპირობა იმ გარემოებებმა, რომ დღესდღეობით კანონით სრულყოფილად და ამომწურავად არ არის დადგენილი ლიკვიდატორის არც უფლებები და არც პასუხისმგებლობები. ეს ყოველივე კი აჩენს კითხვას თუ რა საფუძვლით და რა შემთხვევებში შეგვიძლია დავაკისროთ ლიკვიდატორს პასუხისმგებლობები.

ლიკვიდატორის პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის პირველ რიგში აუცილებელია განისაზღვროს პასუხისმგებლობის წინაპირობების არსებობა, ამ შემთხვევაში იგულისხმება ლიკვიდადორსა და შპს-ს შორის სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი აქტის არსებობა და ლიკვიდატორის უფლებამოსილებების ზუსტი განსაზღვრა. აღნიშნულთა არსებობა კი, რა თქმა უნდა, გაამარტივებს ლიკვიდატორის პასუხისმგებლობის დადგენის საკითხს, თუმცა დღესდღეობით, სამწუხაროდ ყოველივე აღნიშნულის სიმწირე შეინიშნება ქართულ საკორპორაციო სამართალსა და პრაქტიკაში.

კვლევისას, გარდა სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი აქტისა და პასუხისმგებლობის საკითხის განსაზღვრისა, წარმოჩენილ იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც შესაბამისი წინაპირობის არსებობისას ლიკვიდატორის პასუხისმგებლობის საკითხს გამორიცხავს, მის მიერ წარუმატებელი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში. აღნიშნულის არსებობას დიდი მნიშვნელობა აქვს ლიკვიდატორისათვის, რადგანაც პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოება მას საშუალებას მისცემს თავისუფლად იმოქმედოს შეზღუდული პასუხისმგებლობის ინტერესის დასაცავად.

Abstract

The liquidation of the limited liability company is the termination of its activities. Liquidation is a lengthy process led by a liquidator. The legal status of the liquidator is determined only to a certain extent by the Law of Georgia "On Entrepreneurs". Conducting A research on this issue was caused by the circumstances that today nither the rights nor the responsibilities of the liquidator are fully and exhaustively established by law. All this raises the question on what grounds and in what cases we can impose responsibilities on the liquidator.

In order to determine the liability of the liquidator, it is first necessary to determine the existence of prerequisites for liability, in this case it means the existence of an act regulating the legal relationship between the liquidator and LLC and the precise definition of the powers of liquidator. The existence of the aforementioned will certainly simplify the issue of determining the liability of the liquidator, although nowadays, unfortunately, the paucity of all the aforementioned can be observed in Georgian corporate law and practice.

During the research, in addition to the definition of the act regulating the legal relationship and the question of responsibility, such important factors were presented that, in the presence of relevant prerequisites, exclude the question of the liquidator's responsibility, in case he makes an unsuccessful decision. The existence of the aforementioned is of great importance for the liquidator, because the exclusion of liability circumstance will allow him to act freely to protect the interest of limited liability.